ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

დემოკრატიული მოქალაქეობა ინტეგრირებული განათლების გზით ,,ჩვენი პლანეტა, ჩვენი გარემო, ჩვენი პასუხისმგებლობა "

მზია კუბეცია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

გეოგრაფიულმეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

შორენა ტყემალაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,პედაგოგიკის ფაკულტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში ბავშვები ადრეული ასაკიდან სწავლობენ ქცევებზე შესაძლებლობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის აღებას. იმისათვის რომ გადავჭრათ არაერთი პრობლემა ჩვენს გარემომცველ სამყაროში სკოლა წარმოადგენს საშუალებას განვავითაროთ ცოდნა, ღირებულებები და უნარები დროის ადეკვატურად, რომლის პრიორიტეტებს სოციალურ სამართლიანობისა და ბუნებრივი გარემოს დაცვა წარმოადგენს.

პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით გაჩნდა საინტერესო მოსაზრებები, რასაც ინდივიდუალურად ვერ შევძლებდით, ,,ძალა ერთობაშია" პრინციპიდან გამომდინარე მასწავლებლისა და სხვა კომპენტეტური პირების დახმარებით შევადგინეთ სხვადასხვა 12 სკოლის მოსწავლესთან თანამშრომლობითი სამოქმედო გეგმა, რომელიც გახდა წინაპირობა სკოლათაშორისი პროექტისა ,,ჩვენი პლანეტა, ჩვენი გარემო, ჩვენი პასუხისმგებლობა".

გაიზარდა ინტერესი დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობების ასპექტებზე, ერთობლივი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სამომავლოდ შიდა ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრებას სკოლაში, ასევე პარტნიორ სკოლებს, მშობლებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში.

ყოველივე ეს დაეხმარება მასწავლებლებს და მოსწავლეებს დემოკრატიული სკოლისა და სახელმწიფოს მშენებლობაში.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატიული ღირებულებები, სამოქალაქოცნობიერება, ინტერდისციპლინარული, გენდერულითანასწორობა.

არსებობს დემოკრატიის იმდენივე ფორმა,რამდენიც დემოკრატიული სახელმწიფო მთელ მსოფლიოში,არცერთი სისტემა არ არის ერთმანეთის იდენტური. არჩევენ

ISSN 1512-1801

ადამიანთა ჯგუფისათვის წესების შექმნის სისტემას,ეს წესების სისტემა,რომელიც შექმნა ხალხმა და ხალხმავე უნდა დაიცვას.

თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში ბავშვები ადრეული ასაკიდან სწავლობენ ქცევებზე შესაძლებლობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის აღებას. იმისათვის რომ გადავჭრათ არაერთი პრობლემა ჩვენს გარემომცველ სამყაროში სკოლა წარმოადგენს საშუალებას განვავითაროთ ცოდნა, ღირებულებები და უნარები დროის ადექვატურად, რომლის პრიორიტეტებს სოციალურ სამართლიანობისა და ბუნებრივი გარემოს დაცვა წარმოადგენს.

პროექტის იდეა მას შემდეგ გაჩნდა კლასში სწავლის დაწყებისას 15 სექტემბერს, როდესაც შევასრულეთ სახალისო აქტივობა ,,მე მინდა რომ იყოს... კლასში-ოჯახში-ქალაქში-სამყაროში". მოსწავლეებმა გამოკვეთეს ლოკალური გარემოდან გლობალურამდე 21 საუკუნის ორი მწვავე პრობლემა: მშვიდობა და გარემოს დაცვა.

პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით გაჩნდა საინტერესო მოსაზრებები, რასაც ინდივიდუალურად ვერ შეძლებდნენ, ,,ძალა ერთობაშია" პრინციპიდან გამომდინარე მასწავლებლისა და სხვა კომპენტეტური პირების დახმარებით შეადგინეს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან თანამშრომლობით სამოქმედო გეგმა, რომელიც გახდა წინაპირობა სკოლათაშორისი (12 სკოლა: ქ. ქუთაისის N2, N7, N9, N10, N11, N15, N23, N35, N41, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. გელათის საჯარო სკოლა, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ ლეციცხვაიეს გელა ჭედიას სახელობის სკოლა და კერძო სკოლა ,,გონი'') პროექტისა ,,ჩვენი პლანეტა, ჩვენი გარემო, ჩვენი პასუხისმგებლობა".პროექტის მიზნად გამოიკვეთა შემდეგი პრიორიტეტული საკითხები.

1. მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება.
2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თვით მოსწავლეთა ერთობლივი კავშირების მიერ დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობების გაცნობიერება და გაზიარება,გამოვლენა პრეზენტაციებით,აქციებითა და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებით
3. სკოლა-ოჯახი-საზოგადოების ინტეგრაცია განათლების გზით,დემოკრატიული ცნობიერების ამაღლება საინფორმაციო კამპანიაში სხვადასხვა სკოლის ჩართულობითა და თემატური აქტივობების განხორციელებით.
4. სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობით მოსწავლეებში მოტივაციის ზრდა, მიზნობრივად განხორციელებული აქტივობების საფუძველზე მოსწავლეებმა შეძლონ 21-ე საუკუნეში მოსალოდნელი შედეგების გაანალიზება.
5. პრევენციული ზომების გატარება და რეკომენდაციების შემუშავება, როგორც თანატოლებთან, ასევე საზოგადოებასთან.

ISSN 1512-1801

სასწავლო საგანმანათლებლო პროექტის პერსპექტივაა მოზარდს ეტაპობრივად განუვითაროს დემოკრატილი მოქალაქეობის პრინციპები,პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და გუნდური თანამშრომლობით მოახდინოს ლოკალურ და გლობალურ სივრცეში აღმოჩენილი პრობლემების მოგვარების გზების ძიება, რათა სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის განვითარების პრიორიტეტული ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა.

- ხელი შეუწყოს დემოკრატიული იდეების პოპულარიზაციას; კონკრეტული თემების შესახებ ცოდნის შეძენას, გაღრმავებას და გამოვლენას;
- მოსწავლეებს შეუძლიათ პრევენციული ზომების გატარება და რეკომენდაციების შემუშავება, როგორც თანატოლებთან, ასევე საზოგადოებასთან;

პროექტი ხელს შეუწყობს თანამედროვე ეპოქალური მოვლენების ადეკვატურად აღქმას, გლობალიზაციის ეპოქაში მოვლენებსა და პროცესებში გათვიცნობიერებული მოზარდის ჩამოყალიბებას. იმ თაობებისა,რომელიც იზრუნებს ლოკალურ გარემოში დროული და მიზნობრივი პრაქტიკული ღონისძიებების გატარებაზე.

პროექტი ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელებას, გამჭოლი კომპეტენციების და ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან დაახლოებას, კერძოდ, განათლება მდგრადი განვითარებისათვის,რადგან ეს არის ახლებური ხედვა, რომელიც ეხმარება ნებისმიერი ასაკის ადამიანს უკეთ შეიცნოს სწრაფად ცვალებადი სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. გარემოს დეგრადაციის, ურბანული დაგეგმარების, კონფლიქტების, უფლებების შელახვის თუ სხვა პრობლემების აღსაქმელად და გასააზრებლად საჭიროა ჰოლისტური, ინტერდისციპლინარული მიდგომები. სწორედ ამ მიმართულებით პროექტი პასუხობს შემდეგ კითხვებს: როგორი გვინდა იყოს ჩვენი სახელმწიფოსა და შესაბამისად ჩვენი მომავალი, რა ცოდნა უნდა მივიღოთ და რომელი უნარები უნდა განვავითაროთ, რომ ეს ცოდნა და უნარები ათწლეულების შემდეგ, როდესაც ადგილობრივ თუ ევროპულ შრომის ბაზარზე გავლენ რეალობის შესაბამისი იყოს.

- მომავლის მოქალაქეს სკოლათაშორისი ინტეგრაცით და ფორმალური და არაფორმალური განათლების მრავალფეროვანი აქტივობებით შეუძლია გარემომცველ სამყაროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შეცნობა, კვლევა და ადექვატური შეფასება;
- მოსწავლეებს უჩნდებათ ხედვა, რომ თითოეულ ადამიანს აქვს შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა გლობალური მასშტაბით პოზიტიური ცვლილებების გამოსაწვევად და თავისი იდეების განსახორციელებლად;
- პროექტის ფარგლებში ჩნდება დარწმუნების სტრატეგია, რომ ჩვენზეა დამოკიდებული, როგორი იქნება მომავალი, რომ გადაწყვეტილების მიღება, რომლის შედეგებიც ხანგრძლივი დროის შემდეგ გამოხატული იქნება

ISSN 1512-1801

სამოქალაქო, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ თანასწორობაში, ჩვენი უფლებაცაა და მოვალეობაც;

- გვასწავლის, როგორ შევუსაბამოთ ჩვენი ცხოვრება მომავალი თაობების მოთხოვნილებებს და უფლებებს, გვაცნობიერებინებს, რომ ჩვენი დღევანდელი ქმედება გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორი იქნება სამოქალაქო ცნობიერება მომავალში;
- მოსწავლეთა მიერ მოძიებული მასალებითა და კომპეტენტურ პირებთან, ორგანიზაციებთან თანამშრომლობით(ტრენინგ-სემინარები,საინფორმაციო შეხვედრები) საფუძველი ეყრება ევროკავშირის როლის განსაზღვრას გლობალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში;
- დეოკრატიული საქმიანობის ანალიზი სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად,
- ეკოლოგიური პრობლემები და ევროკავშირი, ადამიანის უფლებების დაცვა, კონფლიქტების პრევენცია და რეგულირება, ევროპული ღირებულებები, ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობა და ცნობილი ათი მითი.

1. <u>**პროექტის აღწერა და განხორციელება**</u>

ეტაპ	საქმიანობა	აქტივობა	რესურსები	პასუხისმგებელი პირი	ვადები
I	**შეხვედრები**	**მრგვალი მაგიდა** 12 სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებთან და პროექტის მიზნის ფორმულირება	ტექნიკური აღჭურვილობა. საკანცელარიო მასალა. ადამიანური რესურსი	პროექტის ხელმძღვანელი პედაგოგი - შორენა ტყემალაძე. ასოც.პროფესორი - მზია კუბეცია	**16-17. 09.2014**

ISSN 1512-1801

II	მემორანდუმების გაფორმება	მემორანდუმის გაფორმება-სკოლებთან, აწსუ უნივერსიტეტთან, ტელევიზიასთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან	დაწესებულების ხელმძღვანელები და საორგანიზაციო ჯგუფი	ნ.ხუციძე, დ.ჩხიროძე, გ.მარგველაშვილი, ე, ნემსწვერიძე, უ.ფხაკაძე, ს.სარალიძე, თ.თოფურია, დ.გაგუა, ლ.კუხიანიძე, რ.თვალაბაეიშვილი, ე.სულავა, გ.ავალიანი. რ.გოლეთიანი, ნ.გოლეთიანი ი.ხასაია, ა.გამახარია, ქ.ცხაკაია და სხვა.	20-27.09.2014
III	სამოქმედო გეგმის შედგენა	პროექტის მონაწილეთა მიერ დეტალურად განსახორ-ციელებულ აქტივობათა გაწერა	ფლიფჩარტები, მარკერი, პროექტორი, ლეპტოპი, ფოტოაპარატი, საკანცელარიო მასალა	საორგანიზაციო კომიტეტი	28-29.09.2014
IV	სამოქმედო გეგმის განხორციელება	სხვადასხვა ტიპისა და ფორმატის აქტივობათა შესრულება. (დანართი 1)	მატერიალური და ადამიანური რესურსი	საორგანიზაციო ჯგუფი, მშობელთა კომიტეტები (ხ.დეისაძე, ლ.ნუცუბიძე, თ.ჩიკვაიძე, ლ.კაშია და სხვა)	16.09 -დან დღემდე

ISSN 1512-1801

V	შეჯამება, შეფასება, სამომავლო რეკომენდაციები. პროექტის მდგრადობა	ეტაპობრივი შეჯამება. წერილობითი ანგარიშებისა და ანკეტების წარმოება.	მატერიალური და ადამიანური რესურსი	საორგანიზაციო კომიტეტი	**20 დეკემბერი**

დანართიN1.სამოქმედო გეგმის განხორციელება

▪ მოსწავლეთა მცირე ჯგუფის საინფორმაციო შეხვედრა აწსუ უნივერსიტეტში იმერეთის ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელთან **თ.მერკვილაძე;**

▪ პროექტის მონაწილე თორმეტი სკოლის წარმომადგენელთა შეხვედრა;გარემოს დაცვის დღეები-- **ქალაქის დასუფთავება და საინფორმაციო კამპანია;**

▪ მემორანდუმის გაფორმება მონაწილე სკოლებსა და ორგანიზაციებს შორის;

▪ ვიზიტი პარლამენტში--გარემოსდაცვით დეპარტამენტთან და განათლების კომიტეტთან;

▪ პროექტის მონაწილეთა გამოხმაურება **,,ერთად შევეგებოთ ევროპას''**-ევროპის კვირეული:

ა/ო **,,მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"**-მოსწავლეთა ტრენინგ-სემინარი (5 ოქტომბერი)

თემა

ა) კონფლიქტების ეფექტური მართვა;

ბ) ომი, ადამიანი და ბუნება;

გ) ბავშვთა უფლებები და მოვალეობები;

▪ **პერევში** ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალი- **,,ნდობის ფაქტორის აღდგენა''** მოსწავლეთა მიერ ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა სკოლის ჯგუფებთანგაცნობითი ინფორმაციის მიწოდება-დებატები, თანატოლთა ურთიერთსწავლება.

▪ N23 სკოლაში მრგვალი მაგიდა ლევან ბერძენიშვილი

▪ მასტერკლასი-აწსუ- **პროფესორი რ.კილაძე** -- ,,მცენარეთა სისტემური ცვლილებები დარგვასა და დათესვაში გლობალური დათბობის ფონზე", მერიის ნებართვით ეკოზონის გამოყოფა, მშვიდობისა და მეგობრობის ხეივანის გაშენება.

▪ სასკოლო შიდა საგამოფენო **კონკურსი ,,ჩვენ და დემოკრატია".** (ესეები,კედლის გაზეთები,პოსტერები,სლოგანები)(20 ნოემბრიდან 27 ნოემბრამდე კვირეული)

ISSN 1512-1801

- ვიზიტი N23-ე საჯარო სკოლაში--ნატოსა და ევროკავშირის სამთავრობო ორგანიზაციის დირექტორი **ელენე გოცაძე.** პარტნიორ სკოლათა შორის ქ.ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მიერ ორგანიზებული დებატები **რეზოლუცია: ,,იმისათვის,რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი, საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს ევროკავშირის მოთხოვნები"** (28 ნოემბერი)
- მსოფლიო შიდსის დღე ტრენინგ-სემინარი. დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი. თანამშრომლობითი აქტივობა ქ. ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრთან **ნ.ნამიჭეიშვილი**. საინფორმაციო კამპანია-ბროშურების დარიგება. (1 დეკემბერი)
- ა/ო მერმისი --- ტრენინგი --**,,დემოკრატიული ღირებულებები და საქართველო"** (6 დეკემბერი)
- ა/ო მეწარმე ქალთა ფონდი, ტრენინგი- **,,ძალადობა და გენდერული თანასწორობა"(**7 დეკემბერი)
- აწსუ-პროფესორი **მ.კუბეცია** ლექცია თემაზე: ,,გარემოს მდგრადი განვითარება და ევროკავშირი'' (12 დეკემბერი)
- საქველმოქმედო აქცია ,,ქველმოქმედება ჩვენი პასუხისმგებლობაა", ბიბლიოთეკის გახსნა და აქტუალურ საკითხებზე ინფორმირება ლეციცხვაიეს სკოლაში (პროექტის პარტნიორი სკოლა). (18 დეკემბერი)
- N35 საჯარო სკოლის ბაზაზე განხორციელებული თანამონაწილეობითი შემეცნებით - საგანმანათლებლო ღონისძიება ,,რუსთაველიდან-შექსპირამდე"(20 დეკემბერი)
- საბავშვო ბაღებში ეკოკალენდარის ტრადიციის დამკვიდრება
- უნივერსიტეტში ეკოკალენდარი ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებთან შეხვედრა და ეკოკალენდარის ტრადიციად დამკვიდრება
- ჟურნალი **,,განზომილება"** რედ. **მ. ჩოგოვაძე-სტატია** ,,ჩვენი პლანეტა, ჩვენი გარემო"

არასამთავრობო ორგანიზაციები როლი განსააკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ქ.ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი. ა/ო მეწარმე ქალთა ფონდი, ტურიზმი მშვიდობისა და განვითარებისათვის, მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია, სოციოლოგიური და კვლევითი ცენტრი მერმისი, ფონდი სოხუმი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია(საია),აწსუ უნივერსიტეტი.

არასამთავრობო ორგანიზაციების როლი: ზემოთ აღნიშნულ არასამთავრბო ორგანიზაციათა როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პროექტის მსვლელობაში,მათ მიერ პროექტის სამოქმედო გეგმის ადექვატურად თემატურად გაწერილი იყო აგრეთვე ტრენინგ მოდულების მოკლევადიანი კურსი,რომელიც მორგებული იყო მოსწავლეთა ასაკობრივ სტრუქტურასა და ინდივიდუალურ

ISSN 1512-1801

მახასიათებლებს წინასწარ ჩატარებული დიაგნოსტიკური ტესტების საფუძველზე.მათი დახმარებით ხდებოდა ასევე ხელშეწყობა კომპეტენტურ პირებთან შეხვედრებისა და დისკუსიების წარმოებისა.

ასევე განსაკუთრებული როლი ეკავა აწსუ უნივერსიტეტს, რომელმაც არაჩვეულებრივი შანსი მოგვცა მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებისა უნივერსიტეტის ბაზაზე. პერსონალურკონსულტაციებში: პროფესორები-მზია კუბეცია,რობერტ გოლეთიანი,რამაზ კილაძე,ქეთევან ცხაკაია,იზოლდა ხასაია და სხვ.

- პროექტი განხორციელდა დადგენილ ვადებში სამოქმედო გეგმის მიხედვით;
- ფიქსირდებოდა ეტაპობრივი წერილობითი ანგარიშები, ვიდეომასალისა და სურათების დასტურით;
- თითოეულ აქტივობაზე(ტრენინგ სემინარზე)დასწრება მონაწილეთა რეგისტრაციის ხელმოწერებით ფიქსირდებოდა;
- დაგეგმილი ღონისძიებების წინ და შემდეგ ხდებოდა შევსება მოლოდინებისა და შედეგების,შთაბეჭდილებების ფურცლებისა,
- ყოველი აქტივობის ბოლოს მოსწავლეები ღებულობდნენ მონაწილეობის სერტიფიკატს(წამახალისებელი);
- ძირითად მონიტონირგს ახორციელებდა პროექტის ხელმძღვანელი საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად.

12 სკოლის პედაგოგს სამოქალაქო ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის,ასევე ეკოკალენდარის ტრადიციის ინტეგრირებულად მართვაში გამოცდილების გაღრმავება 60-70 მოსწავლისათვის ცნობადი გახდა ევროკავშირის როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.ასევე გაანალიზეს ასოცირების ხელშეკრულების საქართველოსთვის მნიშვნელობა,ხელშეწყობა მოხდა დემოკრატიული იდეების პოპულარიზაციისა და კონკრეტული თემების შესახებ,კერძოდ, გარემოს დაცვის - ეკოკალენდარის მნიშვნელობაზე.

თვისობრივი: სკოლათა კავშირებით შექმნილ ეკოქსელ ,,ეკოჰარმონიის" მოსწავლეების მიერ აქტიურად მოხდა დანარჩენ მოსწავლეთა ინფორმირება.

გაიზარდა ინტერესი დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობების ასპექტებზე, ერთობლივი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სამომავლოდ შიდა ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრებას სკოლაში, ასევე პარტნიორ სკოლებს, მშობლებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში.

ყოველივე ეს დაეხმარება მასწავლებლებს და მოსწავლეებს დემოკრატიული სკოლისა და სახელმწიფოს მშენებლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.პ.ბრანდერი,ბ.ოლივეირა და სხვები-კომპასი-2004წ.

2.მ.ბლიაძე - სამოქალაქო განათლება IX-X კლასი